



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

2018 წლის 08 ოქტომბერი

ქ. თბილისი

დისციპლინური საქმე №12/18

მოსამართლე -- -- მიმართ

დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2018 წლის 23 იანვრის №-- საჩივრის საფუძველზე „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-7 მუხლის შესაბამისად (2018 წლის 01 მაისამდე მოქმედი რედაქცია), საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად 2018 წლის 15 მაისს მომზადებული №12/18 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 08 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძველიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ -- საქალაქო სასამართლოდან საქმე -- სააპელაციო სასამართლოში არ გადაიგზავნა კანონით დადგენილ ვადაში.

საჩივრის ავტორი ასევე უთითებს -- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის სექტორის წამყვანი სპეციალისტის -- -- მიერ მიღებულ დაუსაბუთებელ წერილზე და ითხოვს, სპეციალისტის მიმართ შესაბამისი ღონისძიებების გატარებას.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2016 წლის 27 ოქტომბერს -- საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა -- -- მოპასუხე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ და მოითხოვა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მესაკუთრეების საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე, მესამე პირის -- -- სახელზე განხორციელებული --, -- --, -- --, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №-- რეგისტრაციის გაუქმება.

-- საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 20 იანვრის განჩინებით (მოსამართლე -- --) -- -- დაზუსტებული სარჩელი მოპასუხე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ, რეგისტრაციის ბათილად ცნობის, მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურების დაკისრების შესახებ, მიღებულ იქნა წარმოებაში და ცნობილ იქნა დასაშვებად; ადმინისტრაციული საქმის №-- განხილვის საპროცესო ვადა გაგრძელდა 5 თვემდე.

2017 წლის 8 თებერვალს -- -- განცხადებით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, გაიხმო 2017 წლის 20 იანვრის განცხადება და შუამდგომლობის განუხილველად დატოვება მოითხოვა.

-- საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 09 თებერვლის განჩინებით (მოსამართლე -- --) -- -- შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ დარჩა განუხილველად.

-- საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 10 თებერვლის განჩინებით (მოსამართლე -- --) -- -- შუამდგომლობა სახელმწიფო ხარჯზე ადვოკატის დანიშვნის შესახებ დარჩა განუხილველად.

-- საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 11 აპრილის განჩინებით (მოსამართლე -- --) ადმინისტრაციული საქმეში №-- საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მესამე პირად ჩაბმულ იქნა -- --.

2017 წლის 06 ივლისს -- საქალაქო სასამართლოს განცხადებით მიმართა მოსარჩელე -- -- და მოითხოვა -- საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 11 აპრილის და 2017 წლის 16 ივნისის სასამართლო სხდომის ოქმებში შენიშვნების (შესწორების) შეტანა კერძოდ ითხოვდა მესაკუთრეების ვინაობის დაზუსტებას.

-- საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 07 ივლისის განჩინებით (მოსამართლე-- --) -- -- 2017 წლის 06 ივლისის განცხადება (რეგისტრაციის ნომერი --) დატოვებულ იქნა განუხილველად.

-- საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 19 სექტემბრის სხდომაზე დაზუსტდა სასარჩელო მოთხოვნა. მოსარჩელემ მოითხოვა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 15 დეკემბრის №-- გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და მოპასუხისათვის მორალური და

მატერიალური ზიანის ანაზღაურების დავალეზა 5 000 ლარის ოდენობით; -- -- შუამდგომლობა აუდიტის ჩატარების თაობაზე არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

-- საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილებით (მოსამართლე -- --) - -- სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა -- -- 2017 წლის 18 დეკემბერს. საქმე -- სააპელაციო სასამართლოში შევიდა 2018 წლის 18 იანვარს.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹-ე მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

ამდენად, ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 371-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შესვლის შემდეგ პირველი ინსტანციის სასამართლო დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს 5 დღისა, გადაუგზავნის სააპელაციო სასამართლოს მთლიანად საქმეს, აგრეთვე დამატებით შემოსულ ყველა მასალას.

დადგენილია, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება მხარემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა 2017 წლის 18 დეკემბერს. ამდენად, საქმე სააპელაციო სასამართლოში უნდა გადაგზავნილიყო არაუგვიანეს 25 დეკემბრისა, რაც არ განხორციელებულა და საქმე სააპელაციო სასამართლოში შევიდა 21 დღის შემდეგ, 2018 წლის 18 იანვარს. რაც თავის მხრივ შეიცავს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის ნიშნებს. თუმცა, 21 დღის დაგვიანებით საქმის ზემდგომ ინსტანციაში გაგზავნა არ წარმოადგენს ისეთ ვადას, რომლისთვისაც მიზანშეწონილად შეიძლება იქნეს მიჩნეული მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემა.

რაც შეეხება, -- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის სექტორის წამყვანი სპეციალისტის -- -- მიერ დაუსაბუთებელი წერილის საჩივრის ავტორისათვის გაგზავნას, აღნიშნულთან მიმართებით მნიშვნელოვანია, რომ -- -- არ წარმოადგენს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ სუბიექტს, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ვერ იმსჯელებს სასამართლოს აპარატის მოხელის მიმართ არსებულ მოთხოვნასთან დაკავშირებით, ვინაიდან დისციპლინურ სამართალწარმოებას იწყებს, აგრეთვე დისციპლინური საქმის წინასწარ შემოწმებასა და გამოკვლევას ახორციელებს მხოლოდ მოსამართლის მიმართ.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად,

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2018 წლის 08 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 13 წევრთაგან 13 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

დისციპლინურ საქმეზე №12/18 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი